**საქართველოს მთავრობის**

**დადგენილება №254**

**2023 წლის 10 ივლისი**

**ქ. თბილისი**

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ III, №33, 31/03/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“:

**1. $54^5$ გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„

| | | | |
|---|---|---|---|
| $54^5$ | პირის მოთხოვნით, საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის საფუძველზე რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში (გარდა ექსპორტის, გარე გადამუშავების ან ტრანზიტის პროცედურის გამოყენების მიზნით რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციისა) ცვლილების შეტანა | | ერთ საბაჟო დეკლარაციაზე – 150 ლარი |

.“.

**2. 125-ე გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $125^1$ გრაფა:**

„

| | | | |
|---|---|---|---|
| $125^1$ | ავტოსატრანსპორტო საშუალების კატალიზური კონვერტორის (კატალიზატორის) ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალების კატალიზური კონვერტორის (კატალიზატორის) მაკომპლექტებელი ნაწილების (მათ შორის, ამორტიზებული მაყუჩის ფილტრის ან/და მაყუჩის კერამიკული ფილტრის) ნარჩენის/ჯართის ექსპორტი | | 1 კილოგრამი – 6 ლარი |

.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 24 ივლისიდან.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**